დასკვნა:**დ10. 3722328001**
თარიღი:**24/11/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის

პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი (პირველადი ვერსია) წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომაზე, ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, აღნიშნავს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი (შემდგომში ბიუჯეტი) და მასზე თანდართული ინფორმაცია წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული შინაარსის შესაბამისად.

2. ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში დადებულია ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მაჩვენებელთა სისტემის კანონით განსაზღვრული ნორმები და ნორმატივები.

3. ბიუჯეტის პროექტის სტრუქტურა შესაბამისობაშია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიასთან.

4. ბიუჯეტის პროექტის ყველა ძირითადი პარამეტრი, მათ შორის: შემოსულობები ბიუჯეტში, გადასახდელები ბიუჯეტში პროგრესირებადია და მათ ზრდის საშუალო სიდიდე 2022 წლის ანალოგიურ დოკუმენტთა მიმართებით 21 პროცენტულ პუნქტზე მეტია.

5. ბიუჯეტის შვიდივე პრიორიტეტის დაფინანსება მზარდია და მაქსიმალურად სრულად ითვალისწინებს ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განმახორციელებელი პროექტების განსაზღვრული ამოცანების განხორციელების შესაძლებლობებს.

ფრაქციის სხდომაზე ,,ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრამულ ფორმატში წარმოდგენილი ბიუჯეტის შინაარსობრივ მხარეს, უზრუნველყოფს მის სრულფასოვან გამჭვირვალობას, თვისობრივად და რაოდენობრივად ხელს შეუწყობს

პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების ეფექტურად და სრული მასშტაბებით განხორციელებას. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. ბიუჯეტის პრიორიტეტებით განსახორციელებელი პროექტების შეფასების ინდიკატორები მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლებით არის წარმოდგენილი. აუცილებელია შეფასების ინდიკატორები მოცემული იყო ეფექტურობის მახასიათებლებით.

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის განხორციელების გეოგრაფიული განლაგების ადგილები აისახოს პროექტების აღწერილობის ნაწილში.

3. პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერილობით ნაწილი ტექსტობრივად ზუსტად ემთხვევა 2022 წლის აღწერილობებს, რაც ნონსენსია.

4. სერიოზული გადამუშავების საჭიროების ქვეპროგრამა 02.03.02. აღწერილობის ნაწილი ანალოგიურია მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მოცემული პარამეტრების.

5. ბიუჯეტის პროექტში მითითებულია, რომ საზოგადოებრივი ობიექტების 80% საჭიროებს რეაბილიტაციას. ზუსტად ასეთივე ჩანაწერია 2020-2021-2022 წლების ბიუჯეტებში. დასაზუსტებელია აღნიშნული ჩანაწერის არსი.

6. ბიუჯეტის პროექტში არ არის მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონებში, კუბ/მ და ა.შ)

7. ბიუჯეტის პროექტში არ არის ასახული ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს“ მიერ ინიცირებული პროექტები.

   კერძოდ კი:

   სოფელ მელექედურში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა,

   სოფელ შრომაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა,

   ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-მ მიიღო გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი (საბიუჯეტო განაცხადი) დაუბრუნდეს მერს კორექტირების მიზნით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს და კარგად ასახავს ქვეყანაში მიმდინარე რეალურ ეკონომიკის მყარ და შეუქცევად პროცესს,რაც მისასალმებელია და თვალნათლივ ადასტურებს მოქმედი ხელისუფლების ეფექტურ, რაციონალურ პოლიტიკას.

მარიკა ჩხიკვიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ფრაქციის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი